საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. კვირა 23 თებერვალი 1919 წ. ბრძოლისაკენ ერთა ძმობა, თანასწორობა, შეერთებისა!

ქართველი

ფასი 75 კაპ.

№ 43 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 43

გაზ. „ქართველის“ 1 თებერვალ 18 მანეთი ღირდა წიგნი ღირდა 75 კაპ. განცხადების ფასი, რაც ერთ ფურცელ, ისე მეოთხეს ტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოწერილი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს გვაქვ ეერ ადუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ბეჭდის მოწყობილობა ფოსტა შეიძლება ადრესით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია ს

დღეს

პარლამენტის დელეგაციას განუცხადა ბრიტანეთის მინისტრ უფროსმა გენ. ფორესტი უოკერმა, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკაში თუ არის რაიმე შეცდომა საქართველოს საზარალო, ვეცდებით მომავალში გავასწოროთ ქართველი ხალხის სასარგებლოთ.

——

რუსეთში მემარცხენე ესერებს საბჭოთა მთავრობამ დელეგალურად მოქმედების უფლება მიანიჭა.

ბერლინს სოციალისტურ კონფერენციაზე არჩეულ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს რუსეთის საქმეების შესახებ თათბირი, საბჭოთა მთავრობა არ თვლის სოციალისტურად, მაგრამ მაინც ნება დართო რუსეთში შესვლის.

ინგლისი ახალ ჯარს ადგენს, რათა ააძულოს გერმანია იარაღი აიყაროს და ინგლისმა უზრუნველყოს ზარალის ანაზღაურება. რეინზე ინგლისი იყოლიებს გაწვრთნილ ჯარს. ინგლისის ჯარი რუსეთში არ გაიგზავნება.

ჰინდენბურგის აზრით გერმანიას საფრთხე მოელის აღმოსავლეთში პოლონეთიდან და ბალშევიკებისაგან.

21 თებერვალს სტუდენტმა მოკლა ბავარიის მინისტრ პრეზიდენტი ეისნერი. მკვლელი მეზღვაურებმა შეიპყრეს და მოკლეს.

ᲐᲠᲔᲡᲐ

დაშნაკცუტიუნის დამარცხება.

„ჰარაჩი“ (№ 33) ამ საკითხის შესახებ სხვათა შორის სწერს:

„აქამდე მიღებული ცნობები მხედარი არჩევნების შესახებ გვეუბნებიან, რომ მენშევიკები, რასაკვირველია, შეადგენენ დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობას ისე, როგორც ეს პარლამენტში იყო. მენშევიკების შემდეგ მეორე ალაგს დაიჭერენ ფედერალისტები, შემდეგ—ნაციონალ-დემოკრატები, სხვა პარტიებს არ ეყოლებათ წარმომადგენლები, ან ეყოლებათ თითო-ორ ორი. არჩევნების ამასთანავ შედეგები დიდათ მნიშვნელოვანია სომეხ მშრომელი ხალხის პარტიისთვის დაშნაკცუტიუნისათვის.

„ქართული პრესა ბუკსა და ნადარას სცემს მთელი ქვეყნის გასაგონათ, რომ დაშნაკცუტიუნი დამარცხდა, რომ სომეხ მშრომელ ხალხს პირი შეუბრუნებია ამ პარტიისათვის და მოჰყავს ამის დასამტკიცებელი საბუთებიც...

„ვინ არის გამარჯვებული? სომეხთა დამპატიმრებელთა პოლიტიკა და ველურობის ავტორები, თუ ჩვენი პარტია, რომელიც სდგას რევოლიუციონური საერთაშორისო სოლიდარობის თვალსაზრისზე?

„მენშევიკურმა მთავრობამ კანონს გარეშე გამოაცხადა სომეხი მშრომელი ხალხი და ციცხლით და მახვილით მოინდომა დაგვასუფტსტოს ჩვენ, რევოლიუციონერები, შრომელთა მომხრენი, მაგრამ არჩევნებმა დაამტკიცეს ჩვენი მასსების რევოლიუციონური მოვალეობის შეგნება და ჩვენი ორგანიზაციის სასიცოცხლო მომავალი.

„მენშევიკური დღევანდელი „სახელოვანი“ გამარჯვება ამისთანავე მშვენიერი დამტკიცებაა მათი ზნეობრივი დაცემის და აუცილებელი მოსპობისა. დაშნაკცუტიუნ-დღევანდელი დამარცხება კი, მისახავს ჩრომავალში გამარჯვებაა...“

20 თებერვალი, „არაჩი“—არწმუნებს თავის მკითხველებს, რომ დაშნაკცუტიუნის დამარცხების მიზეზია მენშევიკების პოლიტიკა და თავმოწონებით ამზეურებს თავის ინტერნაციონალობას. რა უნდა ვუპასუხოთ „ჰარაჩს“? უმჯობესია ვალაპარაკოთ ამ საგანზე მეორე სომხური გაზეთი.

„ოდოთრდი ძაინი“ (41) მოწინავე წერილში „ერთი დამარცხებული გაკვეთილი დაშნაკცუტიუნის პარტიისთვის“, სწერს:

„ჭკნებიან დაშნაკცუტიუნის პარტიის დაფნის შტოები, მისი პატივი და დიდება დღითი დღე მცირდება.

„ეს აგრეც უნდა მომხდარიყო!

„ის, რაც ბუნებრივი საშუალებით არ არის შეჭმნილი, ამამედ—ხელოვნურათ, რაც დაყრდნობილია ძალადობაზე, ის გარდასავალია და დასაღუპავად განწირულია.

„დაშნაკცუტიუნს ყველა არჩევნებში უხმარია უხეში ძალა, ძალადობა და სიყალბე გასაცალკევებლათ ყველა იმ პოლიტიკურ მოწინააღმდეგე პარტიებისა, რომლებსაც ღირსეულად არ უცვნიათ ასეთიეე საშუალების ხმარება. რასაკვირველია, დაშნაკცუტიუნი ყოველთვის გამარჯვებით გამოდიოდა ასეთ პირობებში და ამაყობდა, დაეინებით გაიძახოდა, რომ სომეხ ხალხის 90% მას ენდობა და მისი მომხრეა.

„საკმაო დარჩა ერთი შემთხვევა, რომლის დროსაც დაშნაკცუტიუნმა ვერ შესძლო ჯიბეში ძალის ხმარება, რომ გამორკვეულიყო, თუ რამდენათ მართალია ამ პარტიის მტკიცება, რომ სომხის ხალხი მისი მომხრეა და მას ენდობა.

„და ეგ შემთხვევაც დაუდგა.

„ამ თებერვალში მოხდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო სომხურ პარტიებიდან დაშნაკცუტიუნმა და ხავსებით დამარცხდა კიდეც.

„თფილისის 200,000 ხომეხიდან დაშნაკცუთუნს ხმა მისცა მხოლოდ 788 სულმა. ორი წლის წინათ კი იმავე პარტიამ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს მიიღო 20,000-მდე ხმა.

„დაშნაკცუთიუნი, რასაკვირველია, ეცდება განმარტოს ეს კატასტროფა იმით, რომ განზრახ ბევრი სომეხი ამრჩევლები არ იყვნენ შეტანილი სიებში, მაგრამ ამით არ აიხსნება ეს საკითხი იმიტომ, რომ ბევრი ათასი სომხები ჩაწერილი იყვენ სიებში და მათგან რამდენი ათასი სომეხი მისცემდა ხმას დაშნაკცუტიუნს, უკეთუ ამ პარტიას მიეცემოდა საშუალება უხეშ ძალის ხმარებისა. სიების უკანონო შედგენას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაგრამ ამ მოვლენის უმთავრესი საბაბი იყო ის, რომ დაშნაკცუტიუნს **არ ჰქონდა საშუალება ძველი ფორმებისთვის მიემართნა და წინ წაეხსნა თავისი „მაუზერისტების გვარდია“ და ახე ხმა მიეცა.**

„ხალხმა იგრძნო თავი განთავისუფლებულათ მუქარისა, ძალადობისაგან და ამიტომ არ წავიდა, არ მისცა თავისი ხმა იმ პარტიას, რომელსაც არ თანაუგრძნობს.

„აი ნამდვილი მიზეზი დაშნაკცუტიუნის პარტიის დამარცხებისა. ამ ფაქტის შემდეგ კიდევ გაჰბედავს დაშნაკცუტიუნი და იტყვის, რომ სომეხი ხალხი მის მხარეზე არის და მხოლოდ მას ენდობა!

„კმარა! ჭკუაზე მოდით და ამას იქით იყავით ცოტათ მაინც მშვიდნი. კარგათ იცოდეთ, რომ ძალადმტანებლების პოლიტიკა დასამარებულია“.

* * *

ახალციხის ფრონტზე ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. ამის გამო სამხედრო მინისტრმა ჯარების უფროსი და რამდენიმე ოფიცერი დაითხოვა, რამდენიმე სამართალში მისცა. სამხედრო მინისტრის ამ განკარგულებას გამოეხმაურა გაზეთი „საქართველო“ და სამართლიანათ აღნიშნავს, რომ ეს ცნობა უეჭველათ ერთგვარ დაკმაყოფილების გრძნობას გამოიწვევს ქართულ საზოგადოებაშიო.

იქ გაზეთი ეხება ჯარის შექმნა მოწყობის სისტემას და ამბობს:

„დღეს ჩვენ განვიცდით სოციალურ გარდაქმნის პროცესს, რომელიც უეჭველად უფრო ფართო და დიდმნიშვნელოვანია, ვიდრე საფრანგეთის რევოლიუცია. თავისთავად ცხადია, რომ ამ პროცესში სხვათა შორის უნდა შეიქმნას სამხედრო ძალის ახალი ფორმა, რომელიც შეფარდებული იქნება თანამედროვე კულტურულ ეპოქის სულთან და ის ერი, რომელიც თავის დროზე ყაზარმის რევოლიუციას მოახდენს, ბრძოლის ველზე უეჭველად დაამარცხებს იმ ერებს, რომელიც ტრადიციულ მილიტარულ ფორმებს შეინარჩუნებენ.

„მაგრამ ყაზარმის რევოლიუციის მოხდენა განსაკუთრებით ძნელია იმიტომ, რომ ყოველ სხვაგვარ რევოლიუციის წინააღმდეგ, ის ჩვეულებრივ ზემოდან იწყება საფრანგეთი მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ვერ შეჰქმნიდა ახალ ჯარს, მას რომ ისეთი რევოლიუციონერი სარდლები არ წარმოეშვა, როგორიც იყვნენ ჰოში, ოტერო, მარსო, ნაპოლეონი. პირველ შეტაკებაში რევოლიუციური ჯარი მარცხდებოდა და გარბოდა. საჭირო იყო დიდი ორგანიზატორული გენია, რომ რეკრუტების ბრბო საშიშ მილიტარულ მექანიზმად გადაქცეულიყო.

„ნაპოლეონმა სამართლიანად სთქვა, რომ უმჯობესია ცხვრის ფარა, რომელსაც ლომები მეთაურობენ, ვიდრე ლომების ჯოგი, რომელსაც ცხვრები მეთაურობენო. ეს სიტყვები დღესაც გამოგვადგება სახელმძღვანელოდ. რასაკვირველია, იმის თქმა არ შეიძლება, რომ ქართველი აფიცერი მხდალი იყოს. პირიქით, ბრძოლის ველზე ის უფრო მართლაც ლომს წააგავს; ამას ამტკიცებს, როგორც ადწერითი საბუთები, ისე სტატისტიკა: დახოცილ ქართველ აფიცერთა რიცხვი ყოველ შეტაკების დროს არაჩვეულებრივად დიდია, რაიცა მის პირად სიმამაცესა და თავგანწირულობას მოწმობს, მაგრამ თანამედროვე აფიცრის უპირველესი დანიშნულება ის კი არ არის, რომ მტერს მკერდი მიუშვიროს და თავი შეაკლას, არამედ ის, რომ ჯარისკაცი გაწვრთნას და მოამზადოს. ეს კი დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, თუ ხელმძღვანელსა და ხელქვეითს შორის იდეათა ნათესაობა და გაცვლა გამოცვლა არ არსებობს“.

და მართლაც, ამ იდეათა ნათესაობის, ამ იდეათა კავშირის გარეშე შეუძლებელია შეიქმნას ის შეიარაღებული ძალა, რომელიც ღირსეული და ერთგული დამცველი იქნება რესპუბლიკის და თავისუფლების. ჯარის შექმნა და მის ღირსეულ სიმაღლეზე დაყენება ჩვენს დღევანდელ პირობებში მეტად მძიმე და ძნელი საქმეა. მარტო აფიცრებით და სარდლებით რომ არ თავდება საქმე, ამას ადიარებს „საქართველოც“ და ამიტომაც სწერს:

„აფიცერთა კადრის განწმენდა და განახლება, რასაკვირველია, არ კმარა ახალ ქართულ ლაშქრის შესაქმნელად. საჭიროა, როგორც ვსთქვით, მთელი სისტემის გარდაქმნა. აქ არშეუდგებით იმის განხილვას, თუ რომელ ფორმას უნდა მიეცეს უპირატესობა, მუდმივ ჯარსა, თუ სახალხო გვარდ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ყველაზე მავნებელი ორსისტემიანობაა“.

„ორსისტემიანობა“ მართლაც რომ მავნებელია, მაგრამ ასეა ნორმალურ პირობებში. ამიტომ ვიცავთ და ვემხრობით ჩვენ სახალხო მილიციას. მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია. დღეს ისეთ პირობებში გვიხდება ყოფნა-მოქმედება, რომ შეუძლებელია ნორმალური პირობების სიტემით დაკმაყოფილდეთ. ჯარის შექმნა ვერ მოესწრო, რომ გვარდიას მისი მისია დასრულებულათ ჩაეთვალა. მარტო გვარდია კი საკმარისი არაა.

ჯარი უგვარდიოთ ვერ შეიქნება. უჯაროთ გვარდია ვერას გახდება. ეს კი ქმნის იმ „ორ-სისტემიანობას“, რომელზედაც „საქართველო“ ლაპარაკობს და თუ აქ ვინმეა სასაყვედურო, ესაა ის არა-ნორმალური პირობები, რომელშიაც რესპუბლიკას უხდება თავის დაცვა...

ოსმალეთის გეგეგის აგენტები ჩვენში

არავისთვის საიდუმლოებას აღარ შეადგენს დღეს ის მოვლენა, რომ ჩვენი ქვეყანა გავსილია ოსმალთა აგენტებით.

ამ საკითხს ძველი ისტორია აქვს და ვისაც სურს გაეცნოს მას, უნდა მოიგონოს ის ხელშეკრულობანი, რომლებიც ქართველი ხალხის სახელით რამდენიმე თაეზე ხელ აღებულმა ავანტიურისტმა ოსმალეთის მთავრობასთან დასდო „საქართველოს გასანთავისუფლებლათ“.

ეს საერთაშორისო ომის დაწყების დღეებში იყო. აქედან ჩაეყარა ჩვენში საფუძველი ოსმალთა აგენტების მოღვაწეობას!

რას ისახავენ მიზნათ ოსმალთა ბეგები? საქართველოს დემოკრატ ის განადგურებას, ქართველი ხალხის მოსპობას, გადაგვარებას სრულებით თუ ვერა, იმ სახით მაინც, როგორც ეს მათ შესძლეს მესხეთში, აჭარა-ქობულეთში!

ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილიც, რომელიც დღიდან გაჩენისა ფუფუნებაში ცხოვრობდა ხალხის მონაგარით, ვერ ურიგდება ჩვენში დემოკრატიის, მშრომელი ხალხის ბატონობას და სცდილობს ის მიწასთან გაასწოროს.

ეი აქ ერთდება ამ ორი მიმართულების ხაზი. ოსმალთა ბეგები და ჩვენი თავად-აზნაურობის გულშემატკივარნი ხელიხელ ჩაკიდებულნი მოქმედებენ, ვინაიდან მათი შეთანხმებული მუშაობა ერთი მიზნისკენ არის მიმართული.

ჩვენი ცხოვრების ბევრ დარგში უეჭველად იპოვნით ოსმალთა აგენტს ამა თუ იმ სახით.

ოსმალეთის აგენტს შეხვდებით თავადაზნაურთა წრეებში, სადაც ჩამოართმეულ მიწებზე, გაუქმებულ წოდებაზე მოსთქვამენ...

შეხვდებით ჩვენს ჯარში ზოგიერთ ოფიცრის სახით, რომელსაც არ მოსწონს დემოკრატიული ჯარი...

პრესაშიაც მრავლათ სწერენ ეს აგენტები...

გაზეთ „გრუზიის“ რომელი ნომერიც არ უნდა გადაათვალიეროთ, ამის საბუთს წააწყდებით!

მოლალატე, ახალციხის აჯანყების მეთაურს, **ზაგს** ომარ ეფენდის ეს გაზეთი **ათეთრებს.** ბრალს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას სდებს, ალბათ იმაში, რომ ეს ეფენდი მოღალატეა...

ის მხედარი ანუ ოფიცერი,—ოსმალთა მომბრე, რომელიც ბათუმში, ახალციხეში თუ სხვაგან ჩვენს ჯარისკაცს **ბრძოლის** დროს ჩასძახოდა—ოსმალო ჩვენი მტერი არ ირის, დავნებდეთო, „გრუზია“-ში თამამად სწერს—ყველაფერში დამნაშავეა სოციალდემოკრატია, ვინაიდან ამ პარტიამ ხალხში აღმოუფხვრა ეროვნული შეგნება, ესსახურება ეს პარტია რუსეთის რევოლიუციას, რომელმაც გახრწნა ქვეყანაო და სხვ. და სხვ.

ამ გვარ აზრს გამოსთქვამს გაზეთ „გრუზია“-ში ვინმე მხედარი. ეს მხედარი, თუ ოსმალთა აგენტი, ხოე ეორდანიას ეკამათება. უწტკიცებს, რომ ჩვენი ჯარი თუ თავის სიმაღლეზე არა სდგას,—ეს სოციალდემოკრატების ბრალიაო.

მოვუსმინოთ პირდაპირ მას:

„ეძებეთ დამნაშავენი ბ ნო ეორდანია, თქვენს ახლოს, თქვენს გარშემო. განა თქვენ, ბატონნო სოციალდემოკრატებო, რომლებიც ცდილობდით აგესრულებინათ საქართველოში პოლიტიკური როლი, ყოველი საშუალებით არ ცდილობდით ხალხში აღმოგეფხვრათ ჯანსაღი ეროვნული სული—აცხადებდით რა მას ცოდვათ, დანაშაულათ, სცნობდით მხოლოდ კლასობრივ ბრძოლას და ყოველდღიურ ეკონომიურ საკითხებს. დღე დღეს მე სადილათ მქონდეს ერთი თეფში კარგი შეჭამადი,—სამშობლო, ერი—ყველაფერი ეს სისულელეა. ამას ახლა პატარა მაგნებიც კი დასცინიან! ახლაც კი, რიცა ბ ნი ეორდანია სჩივის ჩვენი ჯარის სისუსტეზე, იმდენათ არ სწუხს სამშობლოზე და ერზე, რამდენსაც რევოლიუციის მონაპოვარზე და დემოკრატიაზე. აი სადამდე მოვიდა საქმე! საქართველოს დასაცავად კი არ მოუწოდებს ის უმთავრესად, არამედ—მოუწოდებს რუსეთის იმ რევოლიუციის დასაცავად, რომელიც ხრწნის ყოველივე წმიდას, ეროვნულს და სხვ.“

ასე იწყება, გრძელდება და თავდება ეს შავრაზმული წერილი!..

საზოგადოთ ამ გაზეთში ამ შინაარსის წერილები ჩვენ არ გაგვაკვირვებს, მაგრამ არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ ერთ გარემოებას—წერილს ხელს აწერს—მხედარი.

ამ მრწამსის მხედრები—აფიცრები, გენერლები, გინდ სხვა „კომანდირები“ თუ დაურჩა ჩვენს ჯარს სათავეში, მივიდებთ იმაზე უარესს, საშიშარ სურათს, რომელიც ჩვენ ვიხილეთ ბათუმში, ოზურგეთში გასულ წელს და ახალციხის მაზრაში—წელს.

და ასეთ მხედრებს ადგილი უნდა ჰქონდეს ჩვენს ჯარში?..

პარლამენტის დელეგაცია გენ. ფორესტი-უოკერთან

თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, 21 თებერვალს პარლამენტის თავმჯდომარე ე. თაყაიშვილის მეთაურობით პარლამენტის დელეგაციამ ინახულა ინგლისის მინიის უფროსი, გენერალი ფორესტი უოკერი და პარლამენტის სახელით გადასცა მადლობა იმ დეპეშისთვის, რომელიც ეხებოდა დენიკინის თავდასხმას საქართველოზე.

გენერალ ფორესტი-უოკერმა პარლამენტის თავმჯდომარეს უპასუხა შემდეგი სიტყვებით: „მე სიამოვნებით ვღებულობ პარლამენტის დელეგაციას. მადლობელი ვარ გამოთქმულ გრძნობებისათვის. სიამოვნებას, რომელსაც განვიცდი მე არ მინდა შევამცირო, მაგრამ ამასთანავე უნდა განვაცხადო, რომ უკანასკნელ ხანებში, ადგილობრივ პრესაში იბეჭდებოდა, ჩემდა სამწუხაროდ, წერილები, სადაც ცუდათ იხსენიებდნენ დიდ ბრიტანეთს. იმედი მაქვს თქვენც დამეთანხმებით, რომ თუ ყოველ ბუთ წუთში ქართველი ხალხი შესცვლის თავის დამოკიდებულებას დიდი ბრიტანეთისადმი, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია დამყარდეს მეგობრული განწყობილება დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს შორის.

მე მინდა თქვენ მიგითითოთ იმაზე, რომ მე სრულიადაც არ გიკითხავთ თქვენ ლექციას, მხოლოდ ვსარგებლობ შესაფერ შემთხვევით, რომ გადმოგცეთ თქვენ ჩემი გრძნობანი. მე ვიცი, რომ თქვენ, როგორც საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელნი, ასწავლით საქართველოს ხალხს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობას თუ აქვს რაიმე შეცდომა თავის პოლიტიკაში საქართველოს ხალხის მიმართ, ყოველთვის მზათ არის გაასწოროს ასეთი საქართველოს ხალხის სასარგებლოთ. საჭიროთ ვიცვლი მოგაგონოთ თქვენ, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარე, რომ არავის არ შეუძლია აბსოლიუტურათ ითავდებოს გენერლების მოქმედებაზე. გენერლები ძლიერ საშიში ხალხია და მათ ვერც ისე ადვილათ დააჯერებთ. მგონია, რომ საქართველოს ჯარშიაც იქნება ასეთიეე ცოდვები. მე ხელმეორეთ დაბეჯითებით ვიმეორებ იმ დიდ სიამოვნებას, რომელიც მაგრძნობინა მე თქვენმა მოსვლამ“.

დამფუძნებელი კრების გარეშემე

არჩევნების შედეგი.

ხიდნალის მაზრა.

საარჩევნო უბანი. ანაგა, ამომრჩეველი იყო 2222. № 1, 1168, მე-2, 4, მე 3, არცერთი, მე-4, არცერთი, მე-5, 73, მე-6, არცერთი, მე-7, 8, მე-8, არცერთი, მე 9, მე-10, არცერთი, მე-11, 1, მე 12, მე-13, მე-14, მე-15, არცერთი ხმა. ვაქირი, ამომრჩეველი იყო, 2142, № 1, 557, მე 2, მე 3 და მე 4, არცერთი ხმა, მე-5, 22, მე-6, არცერთი, მე-7, 112, მე-8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და მე-15, არცერთი ხმა. მაშნაარი, ამომრჩეველი იყო 438, № 1, 29, მე 2, 1, მე 3 და მე 4 არცერთი, მე-5 322, მე 6 არცერთი, მე-7 35, მე-8, 9, 10 არცერთი ხმა, მე 11 4, მე 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. საქობო, ამომრჩეველი იყო 2097, № 1 7, მე 2 5, მე-3 და მე 4 არცერთი, მე 5 654, მე-6 არცერთი, მე 7 326, 8, 9, 10 არცერთი ხმა, მე-11 4, მე 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ასანური, ამომრჩეველი იყო 461, № 1 42, მე 2, 3 და 4 არცერთი, მე-5 67, მე-6 არცერთი, მე-7 217, მე 8, 9 და 10 არცერთი ხმა, მე-11, 1, მე-12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ბოდბისხევი, ამომრჩეველი იყო 2635, № 1, 1393, მე-2 1, მე 3 და 4 არცერთი, მე 5 40, მე-6 არცერთი, მე-7 12, მე-8, 9 და 10 არც ერთი, მე-11 2, მე 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ჯოგაანი, ამომრჩეველი იყო 1678, № 1, 85, მე-2 12, მე 3 და 4 არცერთი, მე-5 105, მე-6 არცერთი, მე-7 418, მე 8, 9, 10 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ქვემომაჩხაანი, 1448, № 1 238, მე 1 112, მე 3 და მე-4 არცერთი, მე-5 536, მე 6 არცერთი, მე 7 28, მე-8, 9 და 10 არცერთი, მე-11 2, მე-12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ფანიანი, ამომრჩეველი იყო 731, № 1 336, მე 2, 3 და 4 არცერთი, მე 5 10, მე-6 არცერთი, მე 7 4, მე-8 1, მე 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ქედელი, ამომრჩეველი იყო 556, № 1, 90, მე 2 2, მე-3 და 4 არცერთი მე-5 113, მე-6 არცერთი, მე-7 92, მე-8 არცერთი, მე-9 2, მე-10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ზემომაჩხაანი, ამომრჩეველი იყო 1875, № 1 762, მე-2 20, მე-3 და 4 არცერთი, მე-5 60, მე-6 არცერთი, მე 7 8, მე 8, 9 და 10 არცერთი, მე 11 1, მე-12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ტიბაანი, ამომრჩეველი იყო 1076, № 1 88, მე 2 12, მე 3 და 4 არცერთი, მე-5 672, მე-6 არცერთი, მე 7 114, მე 8 არცერთი, მე 9 1, მე-10 0, მე-11 7, მე 12. 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ოზაანი, ამომრჩეველი იყო 654, № 1 312, მე-2 7, მე 3 და 4—0, მე-5 60, მე 6, 7 და 8—0, მე-9 1, მე-10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ბოდბე, ამომრჩეველი იყო 2071, № 1 604, მე-2 1, მე-3 და 4—0, მე 5 122, მე-6, 7 და 8—0. მე-9 82, მე-10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. არბოშიკი, ამომრჩეველი იყო 1109, № 1 63, მე 2 13, მე 3 3, მე 4—0, მე 5 460, მე-6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. მირზაანი, ამომრჩეველი იყო 1556, № 1 258, მე 2 4, მე-3 და 4—0, მე 5 367, მე 6—0, მე 7 34, მე-8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ნოვოალექსანდროვკა, ამომრჩეველი იყო 1644, № 1 388, მე-2 30, მე 3 და 4—0, მე 5 80, მე 6—0, მე 7 35, მე-8—0, მე 9 15, მე-10, 11 და 12—0, მე-13 69, მე-14 და 15 არცერთი ხმა. კარდენახი, ამომრჩეველი იყო 1843, № 1 744, მე-2 1, მე 3 და 4—0, მე 5,64, მე 6—0, მე-7 5, მე-8 0, მე-9 4, მე-10, 11 და 12—0, მე 13 2, მე-14 და 15 არცერთი ხმა. ბაკურციხე, ამომრჩეველი იყო 861, № 1 312, მე 2 45, მე 3 და 4—0, მე 5 9, მე-6 0, მე-7 3, მე-8—8, მე 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. კალაგი, ამომრჩეველი იყო 493, № 1 276, მე 2 11, მე-3 და 4—0, მე 5 4, მე-6 0, მე 7 3, მე 8, 9 და 10 0, მე 11 2, მე 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ვეჯნი, ამომრჩეველი იყო 1329, № 1 1055 მე 2 15, მე 3 1, მე-4 1, მე 5—176, მე-6 0, მე-7—6, მე-8, 9 ლ 10—0, მე-11 მე-12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. გურჯაანი, ამომრჩეველი იყო 2516, № 1 988, მე 2 45, მე 3 და 4 0, მე-5 17, მე-6 0, მე-7 17, მე 8, 9 და 10—0, მე 11 1, მე-12, 13 14 და 15 არცერთი ხმა. ჩუმლაყი, ამომრჩეველი იყო 1008, № 1 789, მე 2 3, მე-3 და 4,—0, მე-5 44, მე-6,—0, მე 7—1, მე 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ველისციხე, ამომრჩეველი იყო 2111, № 1 1092, მე 2 35, მე-3,—0, მე 4 27, მე 5 61, მე-6, 7 და 8—0, მე-9 1, მე-10—0, მე-11 11, მე-12—0, მე-13 1, მე-14 და 15—0. მოკუზანი, ამომრჩეველი იყო 324, № 1 224, მე 2 3, მე 3 და 4—0, მე 5 3, მე 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ქოდალო, ამომრჩეველი იყო 713, № 1 628, მე-2, მე-3 და 4—0, მე-5 60, მე-6—0, მე-7 3, მე-8, 0, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ზაარი, ამომრჩეველი იყო 314, № 1 228, მე 2 15, მე 3, 4, 5, 6 და 7—0, მე 8 1, მე 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. კაპარეთი, ამომრჩეველი იყო 699, № 1 336, მე 2, 3 და 4—0, მე-5 236, მე 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. მელაანი, ამომრჩეველი იყო 546, № 1 251, მე-2, 3 და 4—0, მე 5 7, მე-6—0, მე-7 30, მე-8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ჯიმითი, ამომრჩეველი იყო 1363, № 1 953, მე-2 3, მე 3 და 4—0, მე 5 7, მე 6, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ივანოვკა, ამომრჩეველი იყო 65, № 1 47, მე 2—0, მე-3 18, მე-4—0, მე-5 4, მე-6—0, მე-7 23, მე-8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ვარდისუბანი, ამომრჩეველი იყო 735, № 1 374, მე-2—0, მე 3 1, მე-4 2, მე-5 29, მე-6—0, მე-7 13, მე 8—0, მე-9 1, მე-10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ლაგოდეხი, ამომრჩეველი იყო 979, № 1 148, მე-2 6, მე 3—0, მე-4 78, მე-5 78, მე-6, 7, 8, 9, 10—0, მე-11 3, მე-12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. შრომა, ამომრჩეველი იყო 520, № 1 337, მე-2 10, მე-3 და 4—0, მე 5 9, მე-6, 7, 8—0, მე-9 3, მე-10, 11, 12, 13, 14, 15—0, ბაისუბანის ქართუბანის, ამომრჩეველი იყო 693, № 1 622, მე 2 1, მე 3 2, მე 4—0 მე-5 17, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არც ერთი ხმა. თელა, ამომრჩეველი იყო 1421, № 1 415, მე-2—0 მე-3 2, მე 4—მე 5 31, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არც ერთი ხმა. აფენი, ამომრჩეველი იყო 616, № 1 342, მე-2 1, მე-3 110, მე-4—0 მე 5 54, მე-6—მე-7 1, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არც ერთი ხმა. არშფერანი, ამომრჩეველი იყო 640, № 1 358, მე-2 1, მე 3 49, მე 4 1, მე-5 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არცერთი ხმა. ლელიანი, ამომრჩეველი იყო 649, № 1 453, მე-2 2, მე-3 6, მე 4—0 მე-5 21, მე-6—0 მე 7 6, მე-8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არც ერთი ხმა. ჭაბუკიანი, ამომრჩეველი იყო 374. № 1 208, მე-2 0—მე-0 1, მე-4—0 მე 5 3, მე6—3მე-7 1, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 არც ერთი ხმა. ალექსეევკა, ამომრჩეველი იყო 502, № 1 242, მე-2—0, მე-3 9, მე-4—0 მე-5 208, 6, 7, 8, 9, 10 არც ერთი ხმა. მე-11 1, მე 12—0 მე-13 2, 14 და 15 არც ერთი ხმა. ილარიონოვკა, ამომრჩეველი იყო 355, № 1 123, მე-2—0 მე-3 2, მე-4—0 მე-5 120, მე-6—0 მე-7 2, მე 8, 9, 10, 11, 12 არც ერთი ხმა. მე-13 2, 14 და 15 არც ერთი ხმა.

ᲓᲔᲙᲔᲣᲚᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

22 თებერვალი.

ინგლისური პრესის ცნობები.

კლემანსო ისე მსუბუქად დაიჭრა, რომ შინ ფეხით დაბრუნება შესძლო. რამოდენიმე ტყვია მოხვდა ავტომობილს და ერთი მოხვეა პრეზიდენტს უკანიდან მხარში. ტყვია გავიდა ისე, რომ ტანში არაფერი დაუზიანებია. მთელი დღის განმავლობაში კლემანსოს მდგომარეობა უცვლელი იყო, მაგრამ ტემპერატურა თანდათან იწეოდა და მნახველთ არ უშვებდენ.

ლონდონში წარმოთქმულ სიტყვაში ჩერჩილმა სთქვა: ჩვენ ვადგენთ ახალ ჯარს. ჯარისკაცნი იმსახურებენ ორ ან სამ წელიწადს. ყოველდღიურად ვკრეფთ 1000 კაცს. ეს აუცილებელია გერმანიის განიარაღებისათვის და იმისთვის, რომ უზრუნველ ვყოთ ხარალის ანაზღაურება, რომლის მიღება ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ, და კიდეე მისთვის, რომ რეინზე გვყავდეს კარგად გაწვრთნილი ჯარი. განზრახვა არ გვაქვს გავაგზავნოთ რუსეთში ჯარი. რუსეთმა თავისი თავი თითონ უნდა გადაარჩინოს.

კლემანსოს მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ექიმების სიტყვით მას საფრთხე აღარ მოელის. კლემანსოს ყოველ მხრიდან უცხადებენ თანაგრძნობას.

რეიტერის სააგენტოს ცნობები.

ფელდმარშალ ჰინდენბურგმა განუცხადა, პრესის წარმომადგენლებს, რომ ის ამჯობინებდა მოეწერა ხელი ჯარის დემობილიზაციისთვის დასავლეთში, რომ ადმოსავლეთით პოლონელებს და ბალშევიკების მხრით საფრთხე არ მოელოდეს გერმანიას.

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. რუს. კომუნისტთა პარტიის მთავარი კომიტეტი საჭიროდ სთვლიდ ს. რ. პარტიას საშუალება მისცეს აშკარა მოქმედებით დაამტკიცოს, რომ ის მზათაა პროლეტარიატს და გლეხობას დაეხმაროს გარეშე და შინაურ ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში. შესძლებლათ სთვლის მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერების პარტიის ლეგალიზაციას, რაც ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლის გამო დაპატიმრებული მემარ ხენე ესერები უნდა განთავისუფლებულ იქნენ.

რუსეთის სოც. პოლიტიკურ მდგომარეობის გამოსარკვევათ თათბირი. კომისიაში შედის ადლერი, ბაუერი, კაუცკი, გილფენდირგი, ლონგე, ინდერსონი და სხვები. გერმანიის მთავრობა ითხოვს ნებას კომისიის რუსეთში ჩასვლის შესახებ. ჩიჩერინმა პასუხში აუწყა მათ, რომ თუმცა რუსეთის.. საბჭოთა მთავრობა არ სთვლის ბერლინს კონფე-

ენციას არც სოციალისტურათ და არც მუშათა კლასის ინტერესების გამოსახატველათ, მაგრამ აღნიშნულ კომისიას მაინც აძლევს რუსეთში შესვლის ნებას. იმავე დროს საგარეო საქმეთა კომისარი შეკითხვას იძლევა, დათანხმდება თუ არა გერმანიის მთავრობა და იმ ხალხთა მთავრობა, რომელიც კომისიაში შედის. გაუშვან კომისია რუსეთში და ითხოვს აგრეთვე შეატყობინონ მათი მოსვლის დრო.

გერმანიის დროებითი ზავის კომისიამ მოკავშირეებს გადასცა საპროტესტო ნოტა კიელსა და ბრიუკენდორფიდან გერმანელების გადასახლებისა და გრავენ ბროკის ოლქში ჰარცველერის სკოლაში ფრანგულ ენაზე სწავლის შემოღების გამო.

როდესაც ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტი ეისნერი თებერვლის 21, დილის 10 ს. და 15 წ. ლანდსტაგში ფიბით მიდიოდა, სტუდენტმა გრაფმა არკოვალლეიმ ორჯერ თავში ესროლა. ეისნერი მაშინვე მოკვდა. დამნაშავე დაიჭირეს და მეზღვაურებმა მოჰკლეს. მინისტრი უნტერლეიტნერი, რომელიც ეისნერთან ერთად მიდიოდა, დაიჭრა. მეორე ცნობით, უნტერლეიტნერი და მინისტრი აუერიც მოკლულნი არიან; ეს ცნობა ჯერ არ დამტკიცებულა. ეისნერი 52 წ. იყო. ბერლინში დაიბადა და ფილოსოფიის შესწავლის შემდეგ „ფრანკფურტერ ციტუნგს“ რედაქტორობდა. შემდეგ მუშაობდა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში და „ფორვერსტში“.

გოტაში მუშების საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების გამო პროტესტის ნიშნათ ყველა სავაჭრო და მათ შორის სასურსათო დაწესებულებებშიაც მუშაობა შესწყვიტეს გაფიცვების გათავებამდე. მუშაობა შესწყდა აგრეთე ყველა ბანკებსა, კასებსა, საექიმო კაბინეტებსა და აფთიაქებში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ქალაქის საბჭო. 20 თებერვალს შესდგა საბიუჯეტო-საფინანსო და შტატების რეორგანიზაციის კომისიების სხდომა. საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დ. თოფურიძე, მის ამხანაგათ კ. ნ. აფხაზი. შტატების რეორგანიზაციის კომისიის თავმჯდომარეთ ს. ჯიბლაძე, მის ამხანაგათ ა. ჯაჯანაშვილი.

გამგეობამ დაადგინა არ დაუცადონ ქალაქის თავის ბ. ჩხიკვიშვილის მოსვლას და მოახდინონ ქალაქის საბჭოს სხდომა ორშაბათს. ამ სხდომაზე გაირჩევა ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა.

სახელმწიფო კონტროლის კანცელარიიდან 52000 მან. დაიკარგა. ეჭვით დაეპატიმრეს კანტროლის ხაზინადარი ბაქრაძე.

შავი სახადით გარდაიცვალა 21 თებერვალს ლამით სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი იოსებ ყიფშიძე.

ინგლისური გაზეთი. 21 თებერვალს თფილისში გამოვიდა ინგლისური გაზეთი. გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ—სამშაბათობით და პარასკევობით.

საკოოპერაციო კურსები. კოოპერატივთა კავშირი 4 მარტიდან სახალხო უნივერსიტეტში ხსნის კოოპერაციის კურსებს. მსმენელების რიცხვი განსაზღვრულია.

ბათუმიდან გუშინ დაბრუნდა სახალხო განათლების სამინისტროს რწმუნებული ა. ფალავა. მისი გადმოცემით, ქართული გიმნაზიის გახსნისათვის სათანადო ზომები მიღებულია. ბინა ნაშოვნია. მოწაფეთა რიცხვი 216 აღემატება. არ არის მასწავლებელთა საკმაო რიცხვი. გიმნაზიაში 1 მარტიდან დაიწყება მეცადინეობა.

დეპუტატებს მარტინია, საქართველოს მისიის ატაშე ადერბეჯანის რესპუბლიკასთან. მას ბრალდება 300000 მანეთის გაფლანგვა.

შრომის ბირჟა. იანვარში, მთელი თვის განმავლობაში, ქალაქის შრომის ბირჟაში ჩაეწერა 484 სული; იმათში 317 მამაკაცი და 167 დედაკაცი. გამოცხადდენ ბირჟაში 1322. ჯერ იშოვა ადგილი 49 უმუშევარმა ანუ ჩაწერილთა 10 პროც.

ᲥᲐᲠᲗᲚᲘ

ახალგაზრდა მარქსისტთა მეოთხე რაიონული კოლექტივი დღეს დილის, 11 საათზე, მეოთხე რაიონის ბინაზე (ოლოლას ქ. 29) იწვევს თავის ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრებას. განსახილველია კონფერენციის დღის წესრიგი და ასარჩევია დელეგატები.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲞᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

სოფ. ქვემო გომში (ქართლი). 19 თებერვალს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეორე დუმის ყოფილი დეპუტატი ამხ. ნიკოლოზ კაციაშვილი.

ამხ. ნიკოლოზ კაციაშვილი იყო სოფლელი მუშა, შეგნებული, დაუღალავი პარტიული მოღვაწე.

გამათავისუფლებელ მოძრაობის დასაწყისიდანვე იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენს რევოლიუციონურ ორგანიზაციაში და ამ მხრით მან თავისი ისტორიული ვალი ღირსეულად მოიხადა.

უკანასკნელი ოცი წლის ჩვენი ქვეყნის ისტორია არის ახალი ხანა ჩვენი ცხოვრების აღორძინების, პოლიტიკური განვითარების, დემოკრატიის ამოძრავების და ჩვენი პატარა ქვეყნის განახლებისა, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა, როგორც რუსეთის მოძრაობის ისტორიაში, ისე საერთაშორისო მუშათა კლასის საუკეთესო მერმისისათვის ბრძოლაში.

იყო დრო, როდესაც ჩვენი ქვეყანა ლრმა ძალით იყო მოცული. ხალხი მონობაში მყოფი, შეეიწროვებული, დევნილ-ტანჯული ჰგმინავდა მძიმე უღელს ქვეშ, „არსით ხმა, არსით ძახილი“.

ცხოვრების ახალმა სიომ შეარყია მიძინებული ქვეყანა. სიბნელით მოცული ქვეყანა გაანათა დილის გამაცოცხლებელმა სხივებმა.

ხალხის მესაიდუმლეთ, მის ინტერესების დასაცავად, მონობის დასანგრევად ცხოვრების პოლიტიკურ სცენაზე ხალხის რჩეული შვილები გამოჩნდენ.

ეს იყო „მესამე დასი“. ბრძოლა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ იყო უსწორო, მკაცრი და ულმობელი. დასაწყისი ამ ბრძოლისა მეტად ბუნდოვანი და საბედისწერო იყო.

მიუხედავად უკეთესი პირობებისა ახალმა ძალებმა გზა გაიკაფა, გაჩაღა ბრძოლა, ციური ცეცხლი ჩვენი ქვეყნის ცენტრებში...

თფილის ბათუმის ქუჩებიდან მოძრაობა სოფლებშიაც შეეპარა. გურიის ცოცხალ-მოელვარე მთა-გრეხილების ახალმა ტალღამ ქართლის დაღვრემილი, სევდიანი მინდორ-ველებიც შეანძრია. ბატონ-ყმურ პირობებში ჩავარდნილ ქართლის წამებულ ხალხსაც ემცნო ახალი ზარი განთიადისა...

ეს იყო 1902 წელი.

ამ წელში ჩაისახა მცირე, მაგრამ ძლიერი ძალა ქართლშიც..

ამ წლიდან იწყება ქართლის ახალი ძალების შეკრება-შეკავშირება. ამ წლიდან ინთება ქართლის საიდუმლოებით მოცულ ცხოვრების სილრმეში მომავლის ლამპარი.

ამ წლიდან ახალი იდეებით და ბრძოლით გატაცებული ახალგაზრდა სოფლელნი თავს იყრიან მუშათა კლასის წმინდა დროშის ქვეშ და ფიცს სდებენ, რომ თავს შესწირავენ ხალხის სიყვარულს...

ამ წლიდან იწყება კოლას მოღვაწეობაც; მისი საქმიანობა, მისი დაუზოგველი და თავდადებული მუშაობა.

მწარე ხვედრი ხვდა წილათ ხალხისთვის წამებულთ.

ციხეები, მათრახი, ოჯახის აწიოკება, ციმბირის უდრან ტყეებში ობლათ სიკვდილი...

ამას ვერ ასცდა ვერც ამხ. კაციაშვილი. მან განიცადა დევნა, წამება, შეურაცყოფა, მაგრამ ის ჩვეულებრივი ენერგიით აკეთებდა იმას, რაც უკარნახა პოლიტიკურ ცხოვრებამ.

1902 წლიდან იგი დაუღალავათ მუშაობდა, აწყობდა წრეებს, ორგანიზაციებს, ეწეოდა პროპაგანდას.

სოფელი ახალგაზრდა, დაკვირვებული და დინჯი ქართლის გლეხკაცობისათვის საყვარელ ადამიანათ იქცა და თავისი დაუზარებელ საქმიანობით მეტად პოპულარული გახდა ქართლისათვის...

1905 წელშიც იგი ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო ქართლის მოძრაობის და შავ-ბნელი რეაქციის დროს კიდევ მეტი გაბედულებით განაგრძობდა თავის მოქმედებას.

მას წილათ ხვდა მეორე დუმის დეპუტატობა. და როგორც ვიცით მთელი ფრაქცია ამ საბედისწერო ბრძოლაში დაილუპა.

კაცობრიობის ყურადღებას იქცევდა მაშინ ჩვენი დეპუტატების კეთილშობილური თავგანწირვა. ამხ. კოლა აცდენილი სასტიკ სასჯელს, ახალ შკოლა გავლილი ბრუნდება თავის სამშობლოში და ისევ თავის საქმეს განაგრძობს ხალხს საკეთილდღეოთო. მონაწილეობას იღებს ყველგან და ხელმძღვანელობს ახალქალაქის რაიონს.

მისი ის დღე და ღამე არ არსებობდა. მოგზაურობდა, იბრძოდა... ასრულებდა ყოველივე დავალებას და ამ ბოლოს დამფუძნებელ კრების არჩევნებს ხელმძღვანელობდა მთელს რაიონში. იგი კანდიდატი იყო დამფუძნებელი კრების. ვეღარ აიტანა ხანგრძლივი შრომა, ვეღარ გაუძლო დაღლილმა მუდმივ რბენას. და იმ დროს, როცა სხვებთან ერთად საბოლოოთ უნდა ენახა თავისი შრომის ნაყოფი, წუთისოფელიც დასტოვა...

ამიერიდან ვეღარ ვიხილავთ ამხანაგ კოლას ჩვენს ოჯახში. აწ ვეღარ მოვისმენთ მის დაკვირვებულ მოხსენებებს ქართლის პირველ ვარამზე...

ამიერიდან ვეღარ ქართლის სოფელნი ნახავენ საყვარელ კოლას.

მან დაასრულა თავისი სიცოცხლე ხალხის სამსახურში. იგი მსხვერპლათ შეეწირა ჩვენს ძველად მოსილ მოძრაობას. მან 45 წელი დაჰყო ამ ქვეყანათ.

მისი ჩვენთან დარჩენა მეუცილებელი საჭირო იყო, მას კიდევ მეგრის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ბედმა გვიმუხთლა.

მას დღეს ვეთხოვებით, დღეს მიეშურება ამ ქვეყნათ მძიმეთ დაღლილი სამუდამოთ დასასვენებლათ ცივ სამარეში.

მშვიდობით ძმაო.

შენ მოიხადე ვალი ხალხის წინაშე, აასრულე პირნათლად შენი მოვალეობა. შენი და მომავალი თაობა პატივისცემით მოიგონებს შენს ნათელ მოღვაწეობას.

„ვინც ხალხისთვის გასწირა თავი
უკვდავ იქნება მისი სახელი“.

ანანია.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

VII

როგორც ზევითაც ვსთქვით, კაპიტალისტური წეს წყობილების ხანაში შეუძლებელია ისეთი სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობა, რომელსაც თავისი საკუთარი ვაჭრობა-მრეწველობა არა აქვს შესაფერათ განვითარებული.

ამისათვის მთავრობამ თავისი ეკონომიური პოლიტიკით ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი საწარმოო ძალების აღორძინებას, ვაჭრობა-მრეწველობის გაჩაღებას.

დადგა დრო, როდესაც ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს ჩვენვე უნდა დავეპატრონოთ; დადგა დრო, როდესაც ჩვენივე წვეთ-წვეთად მოგროვილი მცირე კაპიტალებით უნდა მოუაროთ იმ სიმდიდრეს, რომელიც მიწის ქვეშ და მის ზევით ასე უხვათ არის ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენ წინ ამ ჟამათ ორი გზაა: ან ჩვენი საწარმოო ძალების განვითარებით და ვაჭრობა-მრეწველობის აყვავებით ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაცვა განმტკიცება, ან რომელიმე კაპიტალისტური სახელმწიფოს უბრალო კოლონიათ გადაქცევა, სადაც უცხო კაპიტალი ლრმათ გაიდგამს თავის ფესვებს, გაჯიჯილდება და სასიცოცხლო ძალებს გამოაცლის ჩვენ ქვეყანასაც და დემოკრატიასაც.

ამიტომაც დემოკრატიამაც ყველანაირათ ხელი უნდა შეუწყოს მთავრობას, რათა მან შეიძლოს საკუთარი ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა, საკუთარი ეროვნული კაპიტალის წარმოშობა და მით იმ მტაცეი საფუძველის ჩაყრა, რომელზედაც შეიძლება სახელმწიფოებრიობის დაყრდნობა.

ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სწრაფი და გიგანტიური ზრდა კოოპერატიული მოძრაობისა.

ომისაგან შექმნილმა პირობებმა და უმაგალითო სიძვირემ მთელი ჩვენი ქვეყანა ორი-სამი წლის განმავლობაში მომხმარებელი კოოპერატივების ქსელით მოჰფინა.

მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებებისა, უსაქონლობისა და უგზოობისა გამო, კოოპერატივებმა თავის კავშირებში მაინც შეიძლეს მილიონების დაგროვება.

სხვა სიმდიდრესთან ერთად ეს სიმდიდრეც შეიძლება გამოყენებულ იქმნას საწარმოო ძალების ასაყვავებლათ; ამისათვის საჭიროა სამრეწველო კოოპერაციის აღორძინება, კოოპერატიული ქარხანა-ფაბრიკების მოწყობა, რაც თავის მხრივ მომხმარებელ კოოპერაციასაც აყვავებს და გაძლიერებს.

კოოპერატივების კავშირები უკვე შედგა ამ გზაზე; ჩვენ ვიცით, რომ გომის სარ იონო კავშირმა ქართლში გახსნა საპნის ქარხანა; ამიერ-კავკასიის კავშირმა გორში მოაწყო ხილის გასახმობი ქარხანა; აზრათა აქვთ ახლო მომავალში იქვე გახსნან კონსერვების ქარხანა და სხვა.

ამნაირათ მომხმარებელი კოოპერაციების განვითარებამ ამ ჟამათ საშუალება მოგვცა მწარმოებელი კოოპერატიული ფაბრიკა-ქარხნები მოგვეწყო, ხოლო ამას იქით მწარმოებელი კოოპერაცია ლოლიკურათ უნდა გაძლიერდეს, რაც ჩვენ საწარმოო ძალებსაც აღორძინებს.

თავის მხრივ მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საწარმოო კოოპერაციის ზრდას; მან ყოველნაირათ ხელი უნდა შეუწყოს, რაც შეიძლება მეტი კოოპერატიული ქარხანა-ფაბრიკები გაიხსნას. ამისათვის ყველანაირი შეღავათებით: კრედიტით, საჭირო მასალით, მანქანებით უხვად უნდა აღმოუჩინოს კოოპერატიულ კავშირებს დახმარება.

სამრეწველო კაპიტალის გასაძლიერებლად შეიძლება გამოყენებულ იქმნას საშუალო შეძლების დემოკრატია და ის თითო-ოროლა ვაჭარ-მრეწველები, რომლებიც მოგვეპოვებიან. ამისათვის მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს საკუთარ საკრედიტო სამრეწველო ამხანაგობების, საქციონერო საზოგადოების შექმნას, რომლებიც შემდეგ მსხვილ ეროვნულ კაპიტალსაც წარმოშობენ.

სახალხო მეურნეობის ყოველმხრივი განვითარებით, კერძოთ ვაჭრობა მრეწველობის სწრაფი ზრდით დაინტერესებული უნდა იყოს საქართველოს ყველა კლასი; მით უმეტეს დემოკრატია და განსაკუთრებით ჩვენი გათვითცნობიერებული პროლეტარიატი მხარს უნდა უჭერდეს მთავრობას ასეთი ეკონომიური პოლიტიკის წარმოებაში, რადგანაც ყველაზე უფრო მეტათ ის არის დაინტერესებული დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს დაცვაში.

VIII.

დემოკრატიულმა მთავრობამ ორგანიზაციულათ უნდა შეაქმნას ისეთი ნორმალური პირობები, რომლებიც კაპიტალისტურ გასვითარებას ბუნებრივს გზას მისცემს.

თუ საქართველოს გათვითცნობიერებულმა დემოკრატიამ ომისა და ანარქიის ხანაში შეიძლო რევოლიუციის დაცვა და ბოლშევიზმის დამარცხება,—ვფიქრობთ და ვიმედოვნებთ, რომ ის შეიძლებს შედარებით უფრო შექმნილ მშვიდობიან პირობებში სტიქიურათ, მიმდინარე სწრაფი პროცესი პირველნდელი კაპიტალის დაგროვებისა ნორმალურის პირობებით ბუნებრივათ მსვლელობის საშუალება მოუპოვოს; ამ შემთხვევაში საჭიროა მხოლოთ კაპიტალის ბუნების ცოდნა და მისი ზრდისათვის ყველანაირათ გზის გაკაფვა-გასუფთავება.

დემოკრატიის ვალია ახლათ აღორძინებულს კაპიტალისტურ ცხოვრების განვითარებას კვალ და-კვალ გაჰყვეს და ისეთივე ხაზით აწარმოვოს ეკონომიური პოლიტიკა, რომლითაც მან რევოლიუციონურ პროცესში გაიმარჯვა.

ფეოდალური ცხოვრების ნანგრევებზე ბურჟუაზიული სახელმწიფოს ამშენებლობა წილათ ხვდა იმ პარტიას, რომელიც დაიბადა და განვითარდა თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში; ამიტომაც არის მას შეუფერებელი კალატოზობა დაეკისრა იმ დროს, როდესაც საშინელის სისწრაფით სწარმოებს მტაცებლური და მძარცველური პირვანდელი კაპიტალის დაზოგვა-დაგროვება მექრთამეობის, სპეკულიაციის, მტაცებლობის და სხვა სახით; ისტორიის და კაპიტალიზმის გარდუვალმა კანონებმა შეგნებულ დემოკრატიას და პროლეტარიატს პირველათ დააკისრა მისთვის მეტად მძიმე და შეუფერებელი, მაგრამ აუცილებელი მოვალეობა.

ი. ირემაშვილი.

ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პარლამენტში სამი დღე გრძელდებოდა კამათი ახალციხის შესახებ, სამი დღე გამოდიოდნენ ორატორები ტრიბუნიდან და მარცხნიდან თუ მარჯვნიდან თავისებურათ აშუქებდნენ ახალციხეში მომხდარ ამბებს. მე დავეწერი სამივე ამ სხდომას, გულდასმით ვუსმენდი ყველა ორატორებს, მაგრამ სამწუხაროთ დარწმუნდი, რომ ჩვენი საზოგადოება ნაკლებათ იცნობს მესხეთს და ჯავახეთს. კიდევ მეტი, იმ ორატორების უმრავლესობას, რომელნიც სცდილობდნენ ახალციხის საკითხის სწორეთ დასმას, ერთხელაც არ გაუვლიათ მესხეთში, არ შეუსწავლიათ ამ ხალხის ყოფა-ცხოვრება, არ იცნობენ თავის წარსულს.

ახალციხის საკითხი იმდენათ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რა იმდენათ მძიმეა თავის წარსულით და რთული აწმყოთი, რომ მასზე ლირს შევჩერდეთ, გავარკვიოთ ყოველმხრივათ და დაახლოვებით მაინც დავუხატოთ საზოგადოებას მომხდარი ამბები. ჩვენ უმთავრესათ შეეეხებით ოპოზიციის გამოსვლებს, რომელნიც იწუნებენ ჩვენ პოლიტიკას და ახალციხის ამბებიც ამის შედეგათ მიიჩნიათ.

ახვერდოვი, ავეტისიანი, თუმანიანი, გობეჩია და სხვანი აყენებდნენ შემდეგ ბრალდებებს: 1) ახალციხეში მომხდარი ამბები არ არის გარეშე ხელის საქმე, ის ხალხის შინაური აჯანყებაა, რომელიც უკმაყოფილო იყო ადმინისტრაციის მოქმედებით; 2) ახალციხეში ჩვენ დავეპატიმრეთ ყველა გავლენიანი პირები, რამაც გამოიწვია ხალხის აღშფოთება; 3) მაშინ, როცა მესხეთ-ჯავახეთში ყრილობებზე გლეხები გაძახოდნენ „იაშასუნ გურჯისთან“ და „კეცე ვრასთან“, ნამდვილათ ეს ხალხი საქართველოს წინააღმდეგი იყო; 4) ახალციხელი არც ერთი ქართველი მუსულმანი არ იბრძოდა ჩვენ ჯართან ერთად, რაც იმის ნიშანია, რომ ხალხი ჩვენ არ გვემხრობოდა; 5) ჩვენ ვერ გამოვნახეთ მუსლიმან გლეხობასთან საერთო ენა, ვერ შევუთანხმდით მოქმედებაში ადგილობრივ მცხოვრებთ და 6) ყველაფერი რეფორმების ბრალია, ბეგს წავართვით მიწა და აჯანყებაც ამან გამოიწვია.

პირველათ ყოველისა უნდა განვაცხადო, რომ ვინც ასე სვამს საკითხს, ის ვერასოდეს ვერ მოუნახავს გასაღებს ახალციხის ამბებს, ეს არის ან სრული არ ცოდნა საკითხის, ან და ისახავს იმავე მიზნებს, როგორიც დასახული აქვთ ყარსის ავანტიურისტებს, რომელნიც სწორეთ ეი ასე აყენებენ საკითხს და ამით სურთ პროვოკაციის ქსელში გაახვიონ მთელი სამუსლიმანო საქართველო.

მესხეთი ექვსი საუკუნეა რაც საქართველოს თავსამტვრევ საკითხათ გადაიქცა. ისტორიულათ საქართველო მუდამ მარცხდებოდა. თუ მას ახალციხე—ახალქალაქი ეჭირა ხელთ, ამით უზრუნველყოფილი იყო შიდა ქართლი, ვინაიდან მუდამ ამ გზით მოდიოდა ის ველური ძალა, რომელმაც მეცამეტე საუკუნიდან დაწყებული ცეცხლსა და მახვილს მისცა საქართველოს კულტურა და ის ნანგრევთა მორევში ჩაალრჩო. საქართველოს ისტორიის ვერც ერთ გვერდს წაიკითხავთ, სადაც მესხეთს შეგეძლოთ აუაროთ გვერდი, ვინაიდან ეს კუთხე წლებით და თვეობით გადადიოდა ხელიდან ხელში, ეს იყო საქართველოს არსებობის საკითხი, ხოლო ალმოსავლეთის შავი ძალისთვის კი ერთად ერთი გზა, რომლითაც დაგლეჯდა საქართველოს ნაწილებათ და თავის ბატონობას დაუმორჩილებდა. დღევანდელი ბრძოლა ახალციხის გარშემო გაგრძელებაა ამ ისტორიული, ნარეკლებით მოფენილ გზის, მარა სულ სხვა სარჩულით, ვინემ ეს შეეძლო ოსმალეთის ფაშებს წარსულში. ამ სტრიქონების დამწერი რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ვტრიალობდი ახალციხის გარშემო. განმიცდია მისი სიხარული და მწუხარება, მტრის შემოსევა და საქართველოს ჯარების ახალციხეში ყოფნით შესვლა. და ეი მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა მომენტი, რომ ახალციხის საკითხი გადაცდენოდეს თავის ისტორიულ საბედისწერო გზას, მას ერთი მხრით ეზიდება თავისკენ ოსმალეთის აგენტები ოსმალეთთან შესაერთებლად, ანდა ოსმალეთის მახინჯ სახის ახლად შესაქმნელად, რომლის უტყუარი საბუთი ყარსის მთავრობის არსებობა, ხოლო მეორე მხრით ახალციხეს ვეპატრონებით ჩვენ, როგორც სრული მეუფე ჩვენი მიწა-წყალისა, ჩვენი ხალხისა.

თუ დავსვამთ ასე კითხვას, მაშინ ჩვენთვის სრულიად გასაგებია ომარ ფაიკის, მუსაკიევის, ათაბეგოვის და სხვათა მოღვაწეობა, რომელნიც თავიდანვე ასურულებდენ ოსმალეთის აგენტების როლს და თავის პანისლამისტობა არასოდეს არ დაუშალიათ. ჩვენ დღეს სწორედ ისე გვიდგას ახალციხის საკითხი, როგორც იდგა ერეკლეს დროს, როცა იქ გაბატონებული იყვნენ ოსმალები და საქართველოს ჯარი კი მტერს ხან ასპინძასთან ეკვეთებოდა, ხან აწყურთან, რომ ქართლის კარები ხელთ ეგდო და მომავალში უზრუნველყო საქართველო ოსმალთა აოხრებისაგან.

ან დღეს, ან არასოდეს—გამოგონილია ახალციხეში ოსმალეთის აგენტებისაგან ახალციხის კითხვის გადაჭრის შესახებ. და მართლაც, თვით ჩვენთვისაც არა თუ მარტო ახალციხის, არამედ მთელი სამუსლიმანო საქართველოს საკითხი სდგას სწორეთ ეი ასე: „ან დღეს, ან არასოდეს“. თუ ეხლა დავკარგეთ ეს ადგილები, თუ ეხლა მოგვწყდა ხელახლა ჩვენი ლვიძლი ძმები ქართველი მუსლიმანები, მაშინ ქართული კულტურის დარჩენილი ნიშან წყალიც გაჭრება ამ მიდამოებში, ქართველ მუსლიმანთა გათურქება მსწრაფლი ნაბიჯით წავა წინ და ჩვენ სამუდამოთ უნდა შეეგუროგდეთ მაშინ იმ აზრს, რომ სამუსლიმანო საქართველო სრულიად მოგვწყდა, ის ოსმალეთის ანარეკლი იქნება. მე მახსოვს ერთი შემთხვევა, რომელიც მეტრმეტყველურათ ადასტურებს ამ აზრს: 8 დეკემბერს, როცა აწყურთან იდგა ჩვენი ჯარი, ჩვენ მოლაპარაკება გვქონდა ახალციხის წარმომადგენლებთან, რათა სისხლის დვრა არ მომხდარიყო და საშე მშვიდობიანათ გათავებულიყო. ახალციხიდან მოვიდა ქართველი მუსულმანი მურთუზა ბეგ ფალავანდიშვილი და ცნობილი ახალციხელი ბოქაული ინგუში მუსაკიევი. და იცით რა მითხრა ამ უკანასკნელმა? „ჩვენ გვეშინია თქვენი შკოლების, საქართველო აქ შემოიტანს თავის კულტურას, შეასწავლის ხალხს ქართულს.“—მერე თქვენ რა გინდათ—ვუპასუხე მე—თითრულიც ხომ ისწავლება შკოლებში, ხოლო, თუ თქვენ გინდათ საქართველოს კულტურის აქედან გაძევება, ეს უდრის ხალხის გათურქებას, რასაც ჩვენ ვერ შეურიგდებით“. აქედან ცხადია რა სურდა ოსმალეთის პირწავარდნილ აგენტს, რომელიც დღეს თურმე მათუმით ფოცხოვში მიბრძანებულა და ეხლა ახალციხეში დათარეშობს.

ამგვარათ ომარ ფაიკის, მუსაკიევის, ათაბეგოვის და კომპანიის გეგმაა შექმნან ჩვენში ახალი ოსმალეთი და რათაც უნდა დაუჯდეთ მოგვწყვიტონ სამუსულმანო საქართველო, ვინაიდან თუ დღეს შემოგვიერთდა მათუმი და ახალციხე, ხალხი რამოდენიმე წელში ეწვნეოდა დემოკრატიზმით, ეპკურება კულტურით და ამიერიდან ოსმალეთის იმედი დაეკარგება ამ მშვენიერ ადგილების დაპყრობისა.

ამას წინეთ, მე აღვნიშნე, რომ ომარ ფაიკი საუკეთესო განმახორციელებელი იყო ენვერ ფაშას იმპერიალისტური იდეებისა, რომელსაც ამიერკავკასიის დაპყრობით სურდა ბიდი გადედო ყირიმთან, ყაზანთან და კასპიის მხარესთან. დღეს ეს პერსპექტივები ოსმალეთის აგენტებს დაეფუშათ, მარა იმავე საქმეს აკეთებენ უფრო პატარა მასშტაბით. სულთანოვ პეპინოვები ადერბეიჯანიდან ხელს უწვდიან ახალციხელ აგენტებს, ხოლო მათ ორივე ხელ ჩაკიდებულ აქვთ ერთი მხრით ხულოში დაბუდებულ აგენტებზე და მეორე მხრით კი ყარსში მოკალათებულ ავანტიურისტებზე.

ეი საიდან იწყება ახალციხის ამბები და თუ მაინც გაიძახიან პარლამენტის ტრიბუნიდან ახუნდოვ-ავეტისიანები, რომ ეს იყო შინაური აჯანყება და არა ოსმალეთის აგენტების საქმე, სჩანს ეს მოდით ან არ ცოდნით, ანდა ისეთ პროვოკაციით სურთ დეეხმარონ სწორეთ იმ ავანტიურისტებს, რომელთაც სურთ დაამტკიცონ, თითქო ჩვენი ჯარი პირველათ დაეხმა მტერს თავზე და აჯანყება კი გამოიწვია ადმინისტრაციის უტაკტო მოქმედებამ. მარა ახუნდოვმა თვით გამოაშკარავა თავისი ზრახვები, როცა ომარ ფაიკზე სთქვა, რომ ის ოსმალეთის აგენტი კი არ იყო, მხოლოდ ოსმალეთის ჯარი მოიწვია ახალციხეში ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველათ და წესრიგის აღსადგენათო.

ეხლა გავყვეთ ჩვენს წინაადმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს. რომ ადმინისტრაციას ამ საქმეებში არავითარი ბრალი არ მიუძღოდა, ეს ყველამ იცის, მარა მიუხედავათ ამისა სურთ მიზეზის შოვნა, რითაც უნდა გაამართლონ ოსმალეთის აგენტების მოქმედება. მაზრაში მთავარ ადმინისტრატორათ, მაზრის კომისრათ იყო ჰაიდარ ბაბშიძე. მე მგონია ვერც მარცხნით, ვერც მარჯვნით ამ პიროვნებაში ეკვს ვერ შეიტანენ, რომ მან გაამწარა მუსლიმანი გლეხობა. ჩვენ ვერ მოგვაყვანეს ვერც ერთი ფაქტი, რომ ადმინისტრაციას ბოროტათ გამოეყენებინოს თავისი უფლებები. ყველა საზოგადოებათა კომისრები ადგილობრივი ქართველი მუსლიმანები იყვნენ, ხოლო რაიონებში თითქმის ყველგან გვყავდა ორ ორი კაცი, ერთი მუსლიმანი და ერთიც ქრისტიანი. არც ერთი კომისარი, ან დაწესებულება არ სდგებოდა ნაბიჯს, თუ ამაზე არ მიიღებდა კოლეგიალურ თანხმობას, თუ არ შეეკითხებოდით გლეხთა საბჭოს, ავწონ-დაწონავდით ყოველ ნაბიჯს. ჩვენ გვისმოდა ჩვენი პასუხისმგებლობა და ამისათვის ჩვენი მუშაობაც ფრთხილი იყო და ვინც დაგვიმტკიცებს, რომ იყო თუნდ ერთი დანაშაული ჩადენილი ჩვენს მიერ—თქვენი ხმალი და ჩვენი კისერი.

ილაშქრებენ დაპატიმრებულთა შესახებ. მე ვაცხადებ, რომ უდანაშაულოთ არავინ დაგვიპატიმრებია. როგორ ფიქრობთ, მჭონდა თუ არა უფლება დაპატიმრება იმ პირებისა, რომელთა დაუყონებლივ დატუსაღებას მოითხოვდენ საზოგადოებები, ან იმ პირებისა, რომელნიც ომარ ფაიკთან ერთად მოღვაწეობდენ და კონსტანტინეპოლში მოგზაურობდენ ოსმალეთის მოსაპატიებლათ, ან იმ რუსის ჩინოვნიკებისა, რომელნიც თავის თავს რუსეთის ქვეშეურდომებს უწოდებდენ და ახალციხეში ეწეოდენ ჩვენი საწინააღმდეგო აგიტაციას, ან იმ სომხებისა, რომელნიც წარსულში ჯავახეთში განთქმულნი იყვენ, როგორც ეროვნებათა შორის შუღლის მთესველნი და ძმათა შორის ომის გამომწვევნი. დამტკიცონ წინააღმდეგი და ჩვენ ქედს მოვიხრით.

მართლა აგვიჯანყდა ხალხი და ვერ გამოვნახეთ საერთო ენა ხალხთან? ავალაპარაკოთ ფაქტები: არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ხალხს ხურგიდან ესროლოს ჩვენი ჯარისათვის, გლეხთა საბჭო სამჯერ კატეგორიულათ მოითხოვდა მოსახლეობრივ რაზმის გაძლიერებას და ავანტიურისტების წინააღმდეგ სასტიკ ზომების მიღებას. ქართულ თურქული გაზეთის „განახლებული მესხეთის“ არსებობა, რომლის პირველი ნომერი 700 ცალი გავიდა ახალციხის მარტო მუსლიმან გლეხებში და მას კი თანამშრომლებით ადგილობრივი მუსლიმანები ყავდა, ნათლათ მოწმობს, რომ ჩვენ და მუსლიმანები ერთი ენით ვლაპარაკობდით. გობეჩია ამბობდა, რომ ჩვენთან არც ერთი მუსლიმანი არ იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. ფაქტები წინააღმდეგს გვილაპარაკებიან. ახალციხის ქართველი მუსლიმანთა ცხენოსანი რაზმი, რიცხვით 200 კაცი, მუდამ ჩვენთან იყო, ის ქალაქ ახალციხეს იცავდა, ხოლო მეორე ნაწილი ბრძოლაშიც იღებდა მონაწილეობას. დღეს კი ეს რაზმი თფილისში ჩამოვიდა. როგორ ფიქრობთ, ასე მოიქცეოდა ჩვენს წინააღმდეგ აჯანყებული ხალხი?

ეხლა რეფორმების შესახებ. მართალია ის, რომ ჩვენ მ-წყვრის ჩამორჩენ-

ცას მემამულეებზე მართლაც შეეფდებ-ქით, მარა არ არის მართალი, თითქო ამისთვის ხალხი აგვიჯანყდა. როგორ უნდა მომხდარიყო ეს, როცა რეფორმების გატარებას შეეუდექით თვით ხალხის დაკანონებით მოთხოვნით. ახალ-ციხის კომისარიატში ეხლაც ინახება სოფლების და საზოგადოებათა ყრილობების დადგენილებები, რომლითაც მოითხოვდენ მიწის რეფორმის დაუყოვნებლივ გატარებას. დიახ, აჯანყება მოხდა. მარა აგვიჯანყდენ ისინი, ვინც თავიდანვე აჯანყებულნი იყვნენ დემოკრატიის წინააღმდეგ. ესენი არიან ბეგები და მათ გვერდს უმშვენებენ ახალციხელი თავადებიც, მარა მათ მონახეს მთავარი დასაყრდნობი ძალა არა შიგნით, ასეთი ელემენტი არ იყო მაშინ იქ, არამედ ოსმალეთის ასკერებში, რომელთა ხელით ერთი მხრით აკეთებენ ოსმალეთის საქმეს, ხოლო მეორე მხრით კეთდება ამავე დროს მათი—ბეგების საკუთარი საქმეც, ვინაიდან ჩვენგან—საქართველოს დემოკრატიიდან ისინი ერას გამოეყენიან.

ამგვარად, ჩვენი პოლიტიკა, იყო დემოკრატიის პოლიტიკა და ამავე დროს საქართველოს პოლიტიკაც. სხვა დროშით ჩვენ იქ ვერ წავალთ. სამხედრო ძალის სისუსტემ დროებით დაამარცხა ჩვენი პოლიტიკა, მარა თუ ჩვენ გვინდა მთლიანი საქართველო, თუ ჩვენ გვინდა დემოკრატიული რესპუბლიკა, მეხეთეჯავახეთში უნდა გამამჯვებით დაგვირგვინდეს ჩვენი პოლიტიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დავკარგავთ სამფლობელო საქართველოს და ოსმალეთს კიდევ შერჩება იმედები ძველი დიდების აღდგენისა.

ლ. რ—ძე

ახალგაზრდა მარქ. ორგან. მე-2 კონფერენცია

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალ. კომიტეტი მიმდინარე წლის 25 თებერვალს თფილისში იწვევს თავის ორგანიზაციებს მცირე დავისუფალ კონფერენციას. წარმომადგენლობითი ნორმა ასეთია: ორგანიზაციები, რომლებშიაც ირიცხება 50 წევრამდე, ჰგზავნიან ერთ დელეგატს და თვითოეულ 50 წევრზე ზევით თითო დელეგატს.

შენიშვნა: თუ საერთო რიცხვს, 50 ზე გადარჩა 20 წევრი, ორკანიზაციას ნება ეძლევა კიდევ ერთი დელეგატის გაგზავნისა.

დელეგატები აღჭურვილნი უნდა იყვნენ სათანადო მანდატებით და დირექტივებით.

დღის წესრიგი: 1) მოხსენებები ადგილებიდან; 2) ცენტრალური კომიტეტის მოხსენება; 3) საკანტროლო კომისიის მოხსენება; 4) მიმდინარე მომენტი; 5) საორგანიზაციო კითხვები; 6) ცენტრალური ბეჭდვითი ორგანო; 7) არჩევნები და 8) მიმდინარე კითხვები. კონფერენცია გაიხსნება საღამოს 5 ხაათზე.

დელეგატებმა ყოველგვარი ცნობებისთვის უნდა მიმართონ: ცენტრალურ კომიტეტის მდივანს მ. ტულუშს, ოლდას ქუჩა № 29 („ახალი ყვალის" რედაქცია). დელეგატებს თან უნდა ჰქონდეთ შემდეგი ცნობები: 1) კასის მდგომარეობა; 2) წევრთა საერთო რაოდენობა; 3) წევრები პროფესიის მიხედვით; ა) მუშები, ბ) მოსწავლენი და გ) სხვადასხვა პროფესიანი; 4) განათლების ცენზი; 5) ეროვნება; 6) წლოვანება 7) სქესი; 8) ოჯახური მდგომარეობა; 9) რამდენი სამეცადინო წრე არსებობს; 10) მეცადინეობის სისტემა; 11) ჟურნალის ანგარიშები და სხვ.

ამიერ კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი.

ს. დემ. პარტიაში

თფილისი. 5 თებერვალს მოხდა რკინის გზის ს. ს. დ. მ. პ. სამმართველოს რეიონის ქვეკოლექტივის წევრთა კრება.

კრება გახსნა ამხ. ასათიანმა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) დამფუძნებელ კრების არჩევნები, 2) გაზეთების გავრცელება და 3) სამკითხველოს დაარსება.

პირველი საკითხის შესახებ მიეცა სიტყვა ამხ. რუხაძეს, რომელმაც აღნიშნა ყველა ის დეფექტები, რომელიც იყო დაშვებული წარსულ არჩევნებში. მაგალითად, ერთი უბნის ხალხი მოწერილნი იყვნენ მეორე უბანზედ, რაც ამომრჩევლებმა არ იცოდენ, რის გამოც იკარგებოდა ბევრი ხმები. ამხ. ლომიძე საჭიროდ სთვლის მიეცეს წინადადება ცენტრალურ საარჩევნო ბიუროს, რათა იქნას აშორებული დაშვებული დეფექტები. ამხ. წილოსანი ადნიშნავს, რომ არსებული რკინის გზის სანიტარული კომისია ძალიან უნაყოფოდ მუშაობს, რადგანაც ჯერჯერობით არაფერი მოუყვანია სისრულეში და ახლა კი საჭიროა იქნას მიღებული ზომები, რადგანაც ამ უკანასკნელ დროს სენი წარმოადგენს საშინელ სურათს. აგრეთვე უნდა მიექცეს ყურადღება რკინის გზის საავადმყოფოს, სადაც აქამდის არ არის მოწყობილი დეზინფექციის მანქანები, რაც აუცილებელია პარტახტიანი ტიფის სენის დროს. რკინის გზის საავადმყოფოს აქვს ეს მანქანები, მხოლოდ უკანასკნელნი გაფუჭების გამო არიან მიცემულნი მთავარ სახელოსნოში და აგერ ორი თვე გადის, მაგრამ გაკეთებული კი არ არის. კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: 1) მიეცეს წინადადება რკინის გზის ცენტრალურ გამგეობას, რომ მიიქციოს განსაკუთრებული ყურადღება. იქნას გამოყოფილი მათ შორის სანიტარული კომისია მთელ ლიანდაგზე სათანადო ზომების მისაღებად, 2) მიეცეს წინადადება მილიციას ამ უბედურებასთან სასტიკ ზომის მიღებით, 3) დაევალოს ამხ. რუხაძეს აღძრას ეს საკითხი საერთოდ ქალაქის თვითმართველობაში.

X

მუშათა შორის

თფილისი. თფილისის საქონლის სად. მუშები ნივთიერად დიდ გაჭირვებას განიცდიან. ასეთ საშინელ კრიზისის დროს რკინის გზის მუშები დებულობენ თვიურათ 467 მ. 40 კ. მუშებში არა ერთხელ გამოითქვა აზრი კუთნილი ჯამაგირების მოთხოვნის შესახებ, მაგრამ, პროფესიონალური კავშირის გამგეობის ახსნა-განმარტების შემდეგ ისინიც შეჩერდნენ, ვინაიდან აღუთქვეს მათ მოკლე დროში ჯამაგირების მომატება იმ პირობით, რომ მანეთზე მანეთს მოუმატებდნენ. განვლო დროს და ხანმ და ეს იმედი და დაპირება დაპირებათ დარჩა. დღეს არ მოიძებნება ისეთი მუშა, რომ უკმაყოფილო არ იყოს ასეთი მდგომარეობით. როგორ არ იქნება რკინის გზის მუშები საგონებელში ჩავარდნილი, როცა ამ ჯამაგირით უნდა არჩინონ მთელი ოჯახი? ამიტომ მოსალოდნელია მუშებმა ისეთი ნაბიჯი გადასდგან, რასაც დღევანდელ პირობებში კარგი ნაყოფი არ მოჰყვება. საზოგადოთ აქაური მუშები საერთო საქმეს გიფაციცებით თვალყურს ადევნებენ და თავისუფლებას დარაჯათ უდგანან. რევოლიუციის თავდადებულმა წითელ-გვარდიელებმა რამოდენიმე მოწინავე მუშების ხელმძღვანელობით სადგური გასწმინდა მავნე ელემენტებისაგან. ჟურნალ-გაზეთების მხრით აქაური მუშები ზოგიერთ სხვა დარგის მუშებზე მაღლა სდგანან: ჟურნალ-გაზეთები მათში საკმაოთ ვრცელდება.

უნდა ადვნიშნო ერთი გარემება: სადგურის მუშები ღებულობდნენ სურსათს თავის წევრებისთვის. ზოგიერთ გზა-დაბნეულთა წყალობით აგერ მეშვიდე თვე გადის სადგურის მუშებს და მოსამსახურეებს სურსათი ალარ მიუღია, რომლის უქონლობით დიდ გაჭირვებას განიცდიან. ამიტომ მოითხოვენ, რომ ცენტრალურმა კავშირმა გასცეს ბრძანება: ყველ მუშებს გადაეცეს სურსათი დასარიგებლათ ადგილობრივათ თავის წევრებზე ადგილობრივი კავშირების პასუხისმგებლობით. თავისთავად ცხადია, რომ შვიდი თვის სურსათის უსარგებლობით მუშები და მოსამსახურეები უკმაყოფილონი არიან, მაშინ, როდესაც სხვებს სამჯერ მეტი გაჰქონდა. ეს გარემობა უფრო აუარესებს ჩვენ მდგომარეობას. სადგურის მუშები და მოსამსახურეები სამუდამოთ დაჰკარგავენ ნდობას იმ ადამიანების, რომლებმაც ჩვენი ნდობა ბოროტად გამოიყენეს. რკინის გზის რევოლიუციონერი მუშები მიხვდებიან ვინაა მტერი მათი და ვინ მოყვარე.

ს. ქ.

პროვინცია

ხოფ. საგარეჯო (გარეთ კახეთი). 9 თებერვალს საქ. ს.-დ. მუშათა პარტიის ორგანიზაციის ინიციატივით მოწვეული იყო ს. საგარეჯოს, გიორგი წმინდის და ნინო წმინდის მცხოვრებთა მიტინგი, რასაც აუარებელი ქალი და კაცი დაესწრო. მიტინგი გაიხსნა ამხ. იაკოფ აზარიაშვილის თავმჯდომარეობით. სოციალ-დემ. პარტიიდან მომხსენებლათ გამოდის ოქრო ლაცაბიძე, რომელიც ვრცლათ აცნობს ხალხს რუსეთის რევოლიუციის მსვლელობას, თუ რამ გამოიწვია რეაქციის გამეფება იქ და რამ გადაარჩინა ჩვენი საქართველო ამ გზას. ილაპარაკა აგრეთვე დამფუძნებელ კრებაზე და უმთავრესათ მიწის საკითხზე.

ლაპარაკის დასასრულს ამხ. ლაცაბიძემ მოუწოდა ხალხს, ვინც № 1 აძლევს ხმას ხელი, ასწიოს, გაუმარჯოს პირველ ნომრის ძახილით, უცებ ხალხის თავზე თითების ტყე გაჩნდა.

შემდეგ გამოდის სოც.-ფედ. პარლამენტის წევრი ბატ. სამსონ დადიანი, რომელიც რამდენიმე სიტყვის შემდეგ იწყებს დემაგოგიას და ასე ეუბნება ხალხს: „ქალაქის მუშებმა ყველაფერი მიიღეს სოც.-დემ. მთავრობიდან, თქვენ კი ეს მთავრობა ყურს არ გიგდებთო, კ. მარქსი და ნ. ჟორდანია თქვენ გალატაკებას გიმზადებთო, თქვენ კონსერვატორებს და სქელქერქას გეძახიანო, (აქ დადიანი წიგნებს იღებს და უკითხავს ხალხს). ს. დემ. მთავრობამ თქვენი სისხლით მორწყული მიწები უნდა მოგყიდოთო; ჩვენ კი მუქთათ უნდა დაგირიგოთო. გლეხები ასეთმა პროვოკაციამ ძლიერ აადელვა და ეუბნებოდენ: „ქალაქის მუშები ჩვენი ძმები არიან, მათი ცხოვრების გაუმჯობესება ჩვენთვის სასიხარულოა; მიწები ჩვენ უნდა კუპჩით დავიმტკიცოთ; ამით ორნაირ საქმეს გავაკეთებთო; ერთი ის, რომ მიწები ჩვენ საკუთრებათ იქნება, მეორე კი იმ გადახდილ ფულით ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა მოიშორებს ხარჯებს და როგორც იყო გაიჩუქეს ორატორი.

მის შემდეგ ილაპარაკეს ამხ. გლეხებმა, რაც დიდი კმაყოფილება გამოიწვია. აქვე მოითხოვეს ლაპარაკი ფედერალისტებმა ი. ქურდოვანიძემ და სტუდენტმა უსტიაშვილმა, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ თავმჯდომარე სთხოვდა ხალხს მოესმინათ, არ ისურვეს. ყველა მოწინააღმდეგე ორატორებს პასუხი გასცა ოქრო ლაცაბიძემ, რომელსაც სიტყვა გააწყვეტინეს ბ-ნ დადიანის ისტერიული ყვირილით და მისი კომპანიის აურზაურით. ხალხი აღელდა. ამას ზედ დაემატა საზიზღარი და უკანონო საქციელი საგარეჯოს საზოგ-ოების კომისრის თანაშეწყის ფედერალისტ ეფრემ გოდერძოვის, რომელმაც ძირს გადმოყარა ამხ. ორატორები და უშვერი სიტყვებით მიმართა ხალხს. აქ კი ხალხმა იგრიალა და უნდოდათ იქვე გაესამართლებინათ დამნაშავე კომისარი; მაგრამ ო. ლაცაბაძემ შეძლო ხალხის დამშვიდება და მეორე ალაგზე მიტინგის გამართვა. აქ ხალხმა იმსჯელა ეფრემ გოდერძოვის, როგორც წინანდელ, აგრეთვე ახლ მის საგმირო საქმეებზე. იგი გადაყენებულ იქნა. მის მაგიერ ამოირჩიეს საკო ხოხობოვი. საგარეჯოს საზოგადოების კომისარიატს კი დაუნიშნეს რევიზია, რომელიც მიტინგზე ამორჩეულ იქნა ხალხისაგან, კომისია უკვე შეუდგა საქმის გამოძიებას და უკვე ირკვევა, რომ როგორც ფედერალისტ ეფრემ გოდერძოვს, ისე სხვებს უფლანგიათ საზოგადოების ქონება, რაც ახლო მომავალში იქნება გამომზეურებული.

ო. მაშოშვილი.

განცხადებანი

კვირას 16 თებერვალს სამტრედიის სადგურში მე მაქსიმე ივანეს ძე ხაბლავამ

დაკარგე

საფულე, რომელშიაც იყო ჩემი მეტრიკული ამოწერილობა, ჯარისკაცობის მოწმობა, ზაქრის ბარათი, ვექსელი და სხ ა საჭირო დოკუმენტები და აგრეთვე ფული (რაოდენობა არ მახსოვს), ვსთხოვ ყველას, ვინც იპოვის ზემოადნიშნულ საფულეს, ფული თავისთვის დაიტოვოს, ხოლო დოკუმენტები გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: ფოთი, კიოსკი, ვასო ქადეიშვილს მაქსიმე სამბალავა-სათვის.

ქირაედება ერთი დიდი ოთახი და იყიდება დიდი სარკე თავის მაგიდით. (4 არშინი სიგრძით). მისამართი: სამპორის ქ. № 27. იკითხეთ ეზოში.

რევმატიზმი

ვწამლობ რევმატიზმს ბალახებით შეზავებულ წამლებით (დაზელით) მისამართი: მიხეილის ქ. № 48 ეზოში. მიღება სადამოს 3—5 საათამდე.

ექიმი დ. ი. ფაფუნაძე

მიიღებს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½, საათამდე, საღამოს 5—6 მიდამოობენ ქუჩა № 7. იკითხეთ ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—85.

ექიმი ძალი

რ. გ. ფიფლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ენენის უნივერსიტეტისა და ლეიბნიცბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეგიუმისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ** ავადმყოფთ და იძლევა სამებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი

ვ. ნ. ჩუპრინინი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქუჩა № 30.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე

მახვილაძე

იღებს სპეციალურად—**მალარიით**(ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულნ, **სისხლის ნაკლებობით, ფაღლვით, ფილტვით, ქარებით** და სხვა **შინაგან სნეულებით** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტროლეჩენია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის ფეფოიანის ახლოს.

ექიმი ს. ა. შაშრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეხვაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლდას ქ. № 33.

ექიმი

ნ. გ. გეგეჭკორი

სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყორლანოვის ქუჩა №10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელ. 17—68.

ექიმი

კეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ 14—28.

ვეტერინარის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ მეგრაგიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ქირურგია და გულისა. იღებს ახალ რენტგენს—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენინიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ლარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუროვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ბაისანა თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მისეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „ბაღილოს" ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი

ი. გ. კონიევი

იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყვირა ვარდის უბ. ნის ქ. № 3.

ექიმი ძალი

ე. ს. კარუკეს — ბებურიშვილი

იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 საღამოს 4—6 საათ. იძლევა სამებიო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ყვირა, გუნიბის ქ. № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი ძალი

ვ ა ი ნ ი

იღებს სპეციალურად სამებიო და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სუდენნაია, 33 ეზოში.

ექიმი ბალი

თეოფილე ალექსანდრეს ძე ცალიშვილი

ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: ბელოსტანის ქუჩა (ყოფილი ბარიონის) № სანელოწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონ. 13—55.

ა. ნ. ფალილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათ. ოქმოლნიკოვის ქუჩა, სახ. № 4 (ზეორონეკოვის ხიდის ახლოს)

მუშტაიდი **დემოკრატიული კლუბი** **მუშტაიდი**

კვირას, 16 თებერვალს წარმოდგენილი იქნება

I. **გ ა მ ც ე მ ი**

II **დ ა ვ ა**

მეოთხე მოქ. ერისთავისა.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე კლუბის კასაში საღამოს 4 დან 7 საათ.

დასაწყისი საღ, 6 ნახ. ს.

საჯარო ვაჭრობა

მომარაგების კომიტეტი საქართველოს რესპუბლიკის ამით აცხადებს, რომ დილის 10 საათზედ, 2 მარტს 1919 წ., ელისაბედის ქ. № 133, საკუთარ საწყობებში,—**საჯარო ვაჭრობა** შემდეგ საგნებზე: 1) ტყემლის ტყლაპი—400 ფ., 2) შვინდის ჩურჩა—300 ფ., 3) დაფნის ფოთოლი 400 ფ., 4) ლიბიო რაპონური—100 ფ., 5) თბილი ტყვავის საბნები—2000 ცალი, 6) შვინდის ფვინი 4000 ბოთლი, 7) გამხმარი ბოსტნეული 500 ფ. და სხვა.

(2—1) კ. გოგუა.

კვირას, 23 თებერვალს, დილის 10 ნახ. საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ბინაზე შესდგება **მეტალლზე მომუშავეთა**

საზოგადო კრება

დღის წესრიგი: ამიერ კავკასიის პროფესიონ. კავშირთა კონფერენციის მოწვევა, გაფიცვის ფონდის დაარსება და სხვ. მომხსენებლად გამოვლენ ს. საველიანი და ბიოლლო. (1—1)

ქართული კლუბი

კვირას, თებერვლის 23, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" სახარგებლოდ გამართება

დიდი სალიტერატურო სამღვ.-სამხატ. **საღამო**

1) სიტყვა—„საქართველო სომხეთის ტრაგედია და ხელოვნება", იოსებ იმედაშვილისა. (ბრძოლის ველზე განცდილი პარიზი შთაბეჭდილებანი); 2) პოეზია—გრიშაშვილი ი., ტაბიძე გალაქტიონ; 3) მუსიკა—პიანისტუმ ქალ. შულგინას, კალანდაძე-აგბარეოვის, ვანო სარაჯიშვილის, ივ. ინაშვილის და ლ. ორთქოფანიძის მონაწილეობით. შესრულებენ: არაყიშვილი ბალანჩივაძის, გოგიაშვილის, ფოცხვერაშვილის, ჯაბადარის და სხ. ნაწარმოებთ; 4) **იუმორისტიკა**—ქართ. დრამ. მსახიობთა მონაწილეობით; 5) **ქართული ბალეტი**—ბალეტმეისტერ ალმბერტისა და ელო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით. **საზანდარი**—სანდროს ლიტაპარიძეთ; ბუფეტი, პტიშვარ, და სხ. გასართობები. როიალთან ქ-ნ **ნემეტის** ასული. დასაწყისი საღამოს 7 ს. გაგრძელდება ღამის 3 ს—დე. ბილეთები იყიდება ქართული კლუბის კასაში. საღამოს დასახლოსი ე. ხ. ბენდუქიძისა.

სახელმწიფო თეატრი „კავშირის" დასი.

წარ. № 23 ორშაბათს, 24 თებერვალს წარ. № 23

„კავშირი"-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მესამედ

მეოთხე ნაწილი

სინათლე

ფერეიდნ-ზლაპარი 7 სურ. ი. გედევანიშვილისა.

დასის გარდა მონაწილეობას მიიღებს საოპერო დასის **ხორო** და **ორკესტრი**, ბალეტი ბ-ნ ვაკარეცის ხელმძღვანელობით და ქ. ბაუერზაკნის მონაწილეობით. მუსიკალური ნომრები შედგენილია სპეციალურად ამ პიესისათვის კ. ფოცხვერაშვილის მიერ. დასტულია ახალი დეკორაციები მხატვარი **ზალცმანის** მიერ.

რეჟისორი ზალცა დადიანი — ადგილების ფასი საბრენფისოა

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. — წარმომადგენელი ა. გაჩეჩილაძე.

დირიჟორობს **გორელიკი.** — მსახიობთან კავშირის დირექცია.

მზადდება არალელი ქალი.

პაპიროსს ვინც მოსწევს თეატრში, გარდ. საგანგებოდ დანაშენ ადგილისა დაჯარიმებული იქნება 100 მ.—300 მანეთამდის ადმინისტრატიულ წესით. სახელმწიფო თეატრის კომისარიატი. (1—1)

სახელმწიფო თეატრი

კვირას 23 თებერვალს დილით ი. მოლჩანოვის ბენეფისი

„სნეგურეჩკა"

საღამოს ა. ა. დემიანენკოს ბენეფისი საბანეევს, ხალიპკ.ს, ბოლიაევის, ნიკოლსკის, დემიანენკოს მონაწილეობით

სევილიელი დალაქი

ეშმაკი და თაგუნა

„ა ხ ი რ ე ბ უ ლ ი"

გ ა მ ო ვ ი დ ა რ ვ ე უ ლ ი II.

საწყისი „ერთობის" კანტორაში.

დასურათებული საუმაწვილო უფასოდ თვიური ჟურნალი

1919 წლ. **ნაკადული** წელიწადი მეთხუთმეტე

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით მცირეწლოვანთა და მოზრდილთათვის თვეში ერთჯელ, მცირეწლოვანთათვის 48 გვერდ. და მოზრდილთათვის 64 გვ. ფასი ჟურნალისა ერთი წლით ორივე გამოცემა—55 მან. ცალ-ცალკე 30 მან. ჟურნალი ქალაქდასა და ბეჭდვის სიძვირის გამო დაიბეჭდება განსაზღვრული რიცხვი და მსურველთ ვსთხოვთ დროით დაიკვეთონ. ხელის მოწერა მიიღება „ნაკადულის" რედაქციაში თფილისი გოლოვინის და დავითის ქ კუთხე 8—2 ს. შესასვლელი დავითის ქ. № 2.